

დისტანციურად მუშაობის ეფექტურობის გაზომვა  
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში  
2020 წ. - გაზაფხულის სემესტრი  
(აკადემიური/მოწვეული პერსონალი)

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2020 წლის 16 მარტიდან გადავიდა ელექტრონული/დისტანციური სწავლების ფორმაზე უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა. დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში წარმართვაში ხელშემწყობი აღმოჩნდა შემდეგი გარემოებები: 2011 წლიდან უნივერსიტეტში მოქმედებს სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც სასწავლო პროცესის ელექტრონულ რეჟიმში ადმინისტრირების საშუალებას იძლევა. დაწესებულებაში 2012 წლიდან მოქმედებს ელექტრონული საგანმანათლებლო პლატფორმა moodle. მიუხედავად ელექტრონულად მიმდინარე სასწავლო პროცესზე მუდმივი დაკვირვების, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მოლოდინისა, რომელზეც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა კვლევა - სასწავლო პროცესის დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით განხორციელების შესახებ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ამჯერადაც საჭიროდ ჩათვალა დისტანციურად მუშაობის ეფექტურობის გაზომვა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

გამოკითხვა ჩატარდა Google-drive-ს ფორმატში. დაცული იყო აკადემიური/ მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების ანონიმურობა. კვლევა ითვალისწინებდა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მაჩვენებლებს.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 65 აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა. მათ შორის პერსონალის

- 50,8 % - განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;
- 32,3 % - ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი;
- 13,8 % - ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი;
- 3,1 % - იურიდიული ფაკულტეტი.

კვლევაში მონაწილე 65 აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან:

- 23,1% - პროფესორი;
- 43,1 % - ასოცირებული პროფესორი;
- 1,5 % - ასისტენტ-პროფესორი

32,3 % - მოწვეული სპეციალისტი

კვლევაში მონაწილე 65 აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან:

- 64,6 % - მდებრობითი;
- 35,3 % - მამრობითი

კვლევაში მონაწილე 65 აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან:

- 1,5 % - 3 წელზე ნაკლები
- 3 % - 10 წელზე ნაკლები
- 95,5 % - 10 წელზე მეტი

კვლევაში მონაწილე 65 აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან:

- 5 % - 30 წლამდე
- 5,8 % - 40 წლამდე
- 24,6 % - 50 წლამდე
- 27,7 % - 60 წლამდე
- 36,9 % - 60 წელზე მეტი

**როგორ შეიცვალა დისტანციური მუშაობის პერიოდში თქვენი სამუშაო დატვირთვა**

კვლევაში მონაწილე 65 აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან:

87,7 % - გაიზარდა

0 % - შემცირდა

12,3 % - არ შეცვლილა

**ტექნოლოგიური თვალსაზრისით გაგიჭირდათ დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა?**

კვლევაში მონაწილე 65 აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან:

4,6 % - კი

29,2 % - ნაწილობრივ

66,2 % - არა

წინა კითხვაში თქვენი პასუხი თუ იყო „კი“ ამ შემთხვევაში უპასუხეთ კითხვას: დაგეხმარათ, თუ არა უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დისტანციური მუშაობის სისტემასთან დაკავშირებით? კვლევაში მონაწილე 65 აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან:

96,6 % - დამეხმარა

3,4 % - არ დამეხმარა

**გაქვთ თუ არა ყველა საჭირო რესურსი დისტანციურად მუშაობისათვის?** კვლევაში მონაწილე 65 აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან:

80 % - კი

20 % - ნაწილობრივ

0 % - არა

**სტუდენტების რამდენი პროცენტი იყო ჩართული თქვენი სასწავლო კურსების ლექცია/პრაქტიკულ/სემინარულ მეცადინეობებზე?** კვლევაში მონაწილე 65 აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან:

0 % - 0-40%

10,9 % - 0-60%

36,9 % - 0-80%

52,3 % - მეტი

**On-line სწავლების პერიოდში შეიცვალა თუ არა სტუდენტთა დასწრება ლექციებზე?** კვლევაში მონაწილე 65 აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან:

40 % - გაიზარდა

7,7 % - შემცირდა

52,3 % - არ შეცვლილა

**On-line სწავლების პერიოდში მიაღწიეს თუ არა სტუდენტებმა სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგებს?** კვლევაში მონაწილე 65 აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან:

93,8 % - დიახ

6,2 % - ნაწილობრივ

0 % - არა

**ადმინისტრაციის მხრიდან კონტროლდება თუ არა სტუდენტთა დასწრება?** კვლევაში მონაწილე 65 აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან:

81,5 % - კონტროლდება

15,4 % - ნაწილობრივ კონტროლდება

3 % - არ კონტროლდება

**როგორ კონტროლდება თქვენი სამუშაო:** კვლევაში მონაწილე 65 აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან:

38,5 % - ლექციის მსვლელობისას

61,5 % - სტუდენტების შეფასების საფუძველზე

**როგორი ფორმის კომუნიკაცია გაქვთ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან?**

72,3 % - ვერბალური

26, 2 % - წერიითი

1,5 % - არ მაქვს კომუნიკაცია

**იღებთ თუ არა უკუკავშირის დამსაქმებლისგან? კვლევაში მონაწილე 65 აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან:**

98,5 % - ვიღებთ

1,5 % - არ ვიღებთ

**რომელ შემთხვევაში არის კომუნიკაცია უფრო სწრაფი? კვლევაში მონაწილე 65 აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან:**

23.1 % - დისტანციური მუშაობის დროს

12,3 % - უშუალოდ სამუშაო ადგილას

64,6 % - ორივე

**როგორ შეაფასებდით უნივერსიტეტში არსებული დისტანციური მუშაობის პრაქტიკას? კვლევაში მონაწილე 65 აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან:**

76,9 % - კარგი

18,5 % - საშუალო

4,6 % - დამაკმაყოფილებელი

მიგნებები/დასკვნები:

- 1) კვლევაში მონაწილე აკადემიური/მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობის 95,5%-ს პედაგოგიური მუშაობის 10-წელზე მეტი გამოცდილება აქვს;
- 2) კვლევაში მონაწილე აკადემიური/მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობის 87,7% აფიქსირებს, რომ დისტანციური მუშაობის პერიოდში მათი დატვირთვა გაიზარდა;
- 3) ტექნოლოგიური თვალსაზრისით დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა გაუჭირდა 4,6 %-ს;
- 4) კვლევაში მონაწილე აკადემიური/მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობის 96,5% აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დისტანციური მუშაობის სისტემასთან დაკავშირებით დაეხმარა;
- 5) კვლევაში მონაწილე აკადემიური/მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობის 92,3% აღნიშნავს, სტუდენტების 80%-ზე მეტი იყო ჩართული დისტანციური სწავლების პროცესში;
- 6) კვლევაში მონაწილე აკადემიური/მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობის 40% აღნიშნავს, სტუდენტების დასწრება გაიზარდა კონტაქტური სწავლების ფორმასთან შედარებით;
- 7) კვლევაში მონაწილე აკადემიური/მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობის 93% აღნიშნავს, რომ სტუდენტმა მიაღწიეს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს;
- 8) კვლევაში მონაწილე აკადემიური/მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობის 81,5 აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციის მხრიდან კონტროლდებოდა სტუდენტთა დასწრება;
- 9) კვლევაში მონაწილე აკადემიური/მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობის 98,5 აღნიშნავს, რომ დამსაქმებლისაგან იღებს უკუკავშირს;

- 10) კვლევაში მონაწილე აკადემიური/მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობის 23,1% აღნიშნავს, რომ კომუნიკაცია უფრო სწრაფია დისტანციური მუშაობის პროცესში;
- 11) უნივერსიტეტში არსებული დისტანციური მუშაობის პრაქტიკა 76,9% შეაფასა - კარგად, ხოლო 18,5% საშუალოდ, 4,6%-მა დამაკმაყოფილებლად.

კვლევის შედეგები ადასტურებს რომ ელექტრონული/დისტანციური სწავლების ფორმატი უნივერსიტეტში შედგა და გარკვეულ შედეგებსაც მიაღწია.

დისტანციურად მუშაობის ეფექტურობის გაზომვა  
 სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში  
 2020 წ. - გაზაფხულის სემესტრი  
 (სტუდენტი)

გამოკითხვა ჩატარდა Google-drive-ს ფორმატში. დაცული იყო აკადემიური/ მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების ანონიმურობა. კვლევა ითვალისწინებდა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მაჩვენებლებს.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 267 სტუდენტმა. მათ შორის

- 32,6 % - განათლების, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი;
- 26,6 % - ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი;
- 29,9 % - იურიდიული ფაკულტეტი;
- 11,6 % - ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.

საგანმანათლებლო პროგრამა

**თქვენი სქესი:**

- 75,3 % - მდედრობითი
- 24,7 % - მამრობითი

**როგორ შეიცვალა დისტანციური მუშაობის პერიოდში თქვენი სამუშაო დატვირთვა?**

- 46,4 % - გაიზარდა
- 25,1 % - შემცირდა
- 28,5 % - არ შეცვლილა

**ტექნოლოგიური თვალსაზრისით გაგიჭირდათ დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა?**

- 18,7 % - კი
- 32, 2% - ნაწილობრივ
- 43, 1 % - არა

წინა კითხვაში თქვენი პასუხი თუ იყო „კი“ ამ შემთხვევაში უპასუხეთ კითხვას: დაგეხმარათ თუ არა უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დისტანციური მუშაობის სისტემასთან დაკავშირებით?

- 77,9 % - დამეხმარა
- 22, 1 % - არ დამეხმარა

**გაქვთ თუ არა ყველა საჭირო რესურსი დისტანციურად მუშაობისათვის?**

- 60,7 % - კი
- 34,8 % - ნაწილობრივ
- 4,5 % - არა

**დისტანციური სწავლებისას რა სახის დახმარება მიიღეთ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისაგან?**

36,7 % - კონსულტაციები

10,1 % - ტექნიკური

13,1 % - არ მიმიღია

40,1 % - არ დამჭირვებია

**აქტიურად იყავით ჩართული სასწავლო კურსების ლექცია/პრაქტიკულ/სემინარულ მეცადინეობებზე?**

68,9 % - დიახ

29,6 % - ნაწილობრივ

1,5 % - არა

**On-line სწავლების პერიოდში შეიცვალა თუ არა თქვენი დასწრება ლექციებზე?**

30,3 % - გაიზარდა

21,7 % - შემცირდა

47,9 % - არ შეცვლილა

**On-line სწავლების პერიოდში მიაღწიეთ თუ არა სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგებს?**

55,1 % - დიახ

34,8 % - ნაწილობრივ

10,1 % - არა

**ადმინისტრაციის მხრიდან კონტროლდება თუ არა თქვენი დასწრება?**

62,9 % - კონტროლდება

26,2 % - ნაწილობრივ კონტროლდება

10,9 % - არ კონტროლდება

**როგორი ფორმის კომუნიკაცია გაქვთ უნივერსიტეტის**

**ადმინისტრაციასთან/ფაკულტეტთან?**

42,7 % - ვერბალური

42,3 % - წერიითი

15 % - არ მაქვს კომუნიკაცია

**იღებთ თუ არა უკუკავშირის ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან?**

63,7 % - ვიღებთ

36,3 % - არ ვიღებთ

**რომელ შემთხვევაში არის კომუნიკაცია უფრო სწრაფი?**

16,5 % - დისტანციური მუშაობის დროს

50,2 % - უშუალოდ სამუშაო ადგილას

33,3 % - ორივე

**როგორ შეაფასებდით საგამოცდო ცენტრის დისტანციური მუშაობის ფორმას?**

54,4 % - კარგი

27,3 % - საშუალო

20,2 % - დამაკმაყოფილებელი

**როგორ შეაფასებდით უნივერსიტეტში არსებული დისტანციური მუშაობის პრაქტიკას?**

55,4 % - კარგი

28,5 % - საშუალო

16,1 % - დამაკმაყოფილებელი

მიგნებები/დასკვნები:

- 1) კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 46,4% აფიქსირებს, რომ დისტანციური მუშაობის პერიოდში მათი დატვირთვა გაიზარდა;
- 2) ტექნოლოგიური თვალსაზრისით დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა გაუჭირდა 18,7 %-ს;
- 3) კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 80% აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დისტანციური მუშაობის სისტემასთან დაკავშირებით დაეხმარა;
- 4) კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 70% აღნიშნავს, აქტიურად იყო ჩართული დისტანციური სწავლების პროცესში;
- 5) კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 30,3% აღნიშნავს, დასწრება გაიზარდა კონტაქტური სწავლების ფორმასთან შედარებით;
- 6) კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 55,1% აღნიშნავს, რომ მიაღწიეს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს; ნაწილი კი - მეტწილად მიაღწიეს სწავლის შედეგებს;
- 7) კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 62,9% აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციის მხრიდან კონტროლდებოდა სტუდენტთა დასწრება;
- 8) კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 63,7% აღნიშნავს, რომ ფაკულტეტისა და ადმინისტრაციისგან იღებს უკუკავშირს;
- 9) კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 16,5% აღნიშნავს, რომ კომუნიკაცია უფრო სწრაფია დისტანციური მუშაობის პროცესში;
- 10) უნივერსიტეტში არსებული დისტანციური მუშაობის პრაქტიკა 55,4% შეაფასა - კარგად, ხოლო 28,5% საშუალოდ.

**დასკვნა:** კვლევის შედეგები ადასტურებს რომ ელექტრონული/დისტანციური სწავლების ფორმატი უნივერსიტეტში შედგა და თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად გათვალისწინებულ სწავლის შედეგებსაც მიაღწია.